

## ვედროფის საქმა

**სოფიკო ჩხიკიძე**  
**ინგა ალავერდი**


10 წლის წინათ ნატახტარ-თბილისის ავტომობილსტრატეგიაში გასროლილი ტყვიამ, რომელსაც ქართველმა სამართალდამცველებმა ბრმა უწოდეს, დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს უახლეს ისტორიაზე. ამ ტყვიით შუბლგახვრეტილი ამერიკელი თვით ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელმა ისე წაასვენა საქართველოდან, რომ საპატიო ყარაულმა არც კი იცოდა, ვინ ესვენა ამერიკის დროშაგადაფარებულ კუბოში.

ამერიკელის მკვლელობა ქართველმა სამართალდამცველებმა მკვლელობის დამსჯელობის და მკვლევარიც ადვილად დაიჭირეს. სამაგიეროდ, ამერიკელი სპეცსამსახურები მკვლელობის გარემოებებს კიდევ ოთხი წლის მანძილზე იძიებდნენ და ამ გამოძიებაზე რამდენიმე მილიონი ამერიკული დოლარიც დაიხარჯა.

რატომ შეიტანეს ეჭვი ამერიკელებმა ქართველი კოლეგების სამართლიანობაში? ამდენი წლის წინანდელ საიდუმლოს სულ ახლახან აეხადა ფარდა - FBI-მ ოთხწლიანი გამოძიების მასალებს გრიფი „საიდუმლო“ მოხსნა. როგორც ამ მასალებიდან ირკვევა, ეჭვის საფუძველს ამერიკელებს ბევრი რამ აძლევდა.

თუმცა, საქართველოს დედაქალაქთან მომხდარი მკვლელობა თავიდანვე საეჭვო იყო. პირველ რიგში კი იმიტომ, რომ თბილისის შემოგარენში, სოფელ ნატახტარის საგზაჯვარს მახლობლად მოძრავ მანქანაში მოკლული, 45 წლის ამერიკელი ფრედ რასელ ვუდროფი, რომელიც, ოფიციალურად, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პოლიტიკური განყოფილების რეგიონულ ურთიერთობათა სექტორის თანამშრომლის სტატუსს ატარებდა, სინამდვილეში ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამართალდამცველობის (იგივე CIA-ის, გენბავთ LPY-ს) მიერ სტრატეგიული ინტერესის ობიექტ ქვეყანაში - საქართველოში შემოგზავნილი ერთ-ერთი პირველი აგენტი გახლდათ. მანქანას კი, რომელშიც CIA-ის მიერ საქართველოში

**ბაბრქაძეა A3 გვირგვინი**



ელდარ გოგოლაძე, ფრედ ვუდროფი და თემურ კალანდაძე ანანურის ციხესთან 1993 წლის ზაფხულში.

**ჩვენთვის დიდი აზოტაქება მოხდა**  
ორშაბათს ჩრდილოეთ ჩინეთში სატვირთო მანქანა აფეთქდა. ადგილობრივი ადმინისტრაციის ინფორმაციით, 40-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

ტერორისტული აქტი ნადგურეწინის რაიონში მოხდა. ამ რეგიონის ხელმძღვანელის სულთან ახმეტხანოვის თქმით, ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე სატვირთო მანქანა ქალაქ ზნამენსკოვს ცენტრში აფეთქდა და ადგილობრივი ადმინისტრაციის შენობა და ფედერალური უშიშროების სამსახურის შტაბ-ბინა დააზიანა. ამას გარდა, რვა საცხოვრებელი სახლიც დაინგრა. ახმეტხანოვის

**ბაბრქაძეა A5 გვირგვინი**

**დღეს ლონდონში ბორის ბარაკოვსკის რუსეთში ექსტრადიციის საქითხს განიხილავენ**  
დღეს ლონდონის სამაგისტრატო სასამართლოს წინაშე სკანდალურად ცნობილი რუსი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი და მისი ბიზნესპარტნიორი იული დუბოვი წარსდგებიან. რუსეთის გენპროკურატურის მიერ თაღლითობის გზით მილიონობით სახელმწიფო თანხების დატაცებაში ბრალდებულები მოსამართლე ტიმოთი უორკენისგან რუსი სამართალდამცველების მოთხოვნაზე პასუხს, ანუ მათი რუსეთში

**ბაბრქაძეა A3 გვირგვინი**

**„ახლების“ ტასტი: რამდენად ბულნრფალია ხელისუფლება?**  
„იყოს ნებისმიერი სხვა, ოღონდ ნუ იქნება შევარდნაძის სისტემა...“

**თამარ მჭაძლიძე**

„ახალი მემარჯვენეები“ სახელისუფლებო ძალებს ტესტირებას უპირებენ. კითხვარის ფუნქციას კი თავის თავზე საკონსტიტუციო ცვლილებათა ის პროექტი იტვირთეს, რომელიც პარტიში მომზადდა და რომლის მიხედვითაც ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პროცედურა უნდა გათავისუფლდეს, რათა პრეზიდენტმა ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება ვერ შეძლოს. ამასთან, „ახალი მემარჯვენეები“ აცხადებენ: თუ კი სახელისუფლებო ფრაქციები მართლაც გულწრფელნი არიან და სჯერათ, რომ „ახლების“ ლიდერის ბრალდება „თითოდაც გამოწვეული“ და „შაშლილი“ ტყუილია, გაიარონ ეს ტესტირება და საკანონმდებლო ინიციატივისათვის საჭირო ხელმოწერებს საკუთარი ავტორგრაფიციც შევსაბონ.

გუშინ პრეზიდენტმა შევარდნაძემ კვლავ განაცხადა, რომ არჩევნების წინ დესტაბილიზაცია და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ხელისუფლებას კი არა, სწორედ ოპოზიციურ პარტიებს სურთ (შეგახსენებთ: საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საფრთხეზე პირველად საჯაროდ „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე ალაპარაკდა).

**ბაბრქაძეა A2 გვირგვინი**

## „კმარა!“ - მთელს საქართველოში

**ლანა მიქაძე**

პოლიციის განყოფილებებზე „კმარას“ ორგანიზატორებმა ერთბაშად რამდენიმე ქალაქში მიიტანეს იერიში. „გვეყენია, რომ პოლიტიკური გარჩევების გამო, პოლიცია უფრო გათავებდებდა და მუდმივად საკუთარი ძალების დემონსტრირებას შეეცდებოდა. ვაკე-საბურთალოს პოლიციისთან კონკრეტული ფაქტის, ადვოკატების ცემის გამო გადაწყვიტეთ შეკრება. დანარჩენ ქალაქებში ამის მიზნით გართულებული კრიმინალური ვითარება გახდა. თავად იდეა გორში გაჩნდა, სადაც სიტუაცია ამ თვალსაზრისით საკმაოდ მძიმეა.“

„გვინდა, საზოგადოებას შევახსენოთ, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება,“ - აცხადებდა გუშინ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე თინათინ ხიდაშელი. „კმარა ფორმირებული ყანალები“, „კმარა ძალადობა“, „კმარა განუკითხაობა“ - ამ ლოზუნგებს „კმარას“ აქტივისტები პოლიციის განყოფილებებთან საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში აფორილებდნენ.

**ბაბრქაძეა A6 გვირგვინი**



გუშინ ამ ლოზუნგებს საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში აფორილებდნენ.

**პოლიტიკა**

**ხელისუფლება „ორსკამიანების“ წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს**

ხელისუფლებამ ჩინოვნიკთა პოლიტიკური ნიშნით დევნას ვიზა ნინა კვირას, შეიძლება ითქვას, ოფიციალურად მისცა. სახელისუფლებო ბლოკის მორიგი შეკრებიდან გამოსულმა ლიდერებმა უკვე შავი სიის შედგენაზეც კი დაიწყეს საუბარი.

**A2**

**ეკონომიკა**

**„ეი-ი-ესი“ გაკორპორირების ნაცვლად სწრაფი ზამთრდება „იხუტება“**

ამერიკული კორპორაცია „ეი-ი-ესი“ (AES), რომელიც თბილისის ელექტროსადისტრიბუციო კომპანიის მფლობელია, მყარად ადგას ძველი სტაბილურობისა და მომგებიანობის დაბრუნების გზას. „ეი-ი-ეს“-მა წლებადელო პირველი კვარტლის 73-მილიონდოლარიანი მოგებით დასრულება შეძლო.

**A4**

**უსხოვეთი**

**ირანი აზოტაქება მოხდა**

ორშაბათს ჩრდილოეთ ჩინეთში სატვირთო მანქანა აფეთქდა. ადგილობრივი ადმინისტრაციის ინფორმაციით, 40-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

**A5**

**საზოგადოება**

**უქმა დღე სახეარაზე**

გუშინდელი უქმე დღე საკრებულოს თავმჯდომარემ „სახურავზე“ გაატარა - ჯერ ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი შეაკეთა, მოგვიანებით კი სათამაშო მოედანის ჩამოუარა. მეზობლებთან ერთად ჭიკა შამპანურის დაღლია და ცნობისმოყვარე ბავშვებს ავტორგრაფიციც დაუზარლად დაუბრუნა. ეს ყველაფერი გლდანის მეორე მიკრორაიონის 27-ე კორპუსში მოხდა. აქაურებს ნამდვილად აქვთ თავის მოწონების და სიამაყის საფუძველი.

**A6**

**პერსონა**

**ამ არჩევნებში გადაწყვეტილი სივარტული იქნება**

არჩევნების შედეგები ყველამ უნდა მიიღოს, როგორც ღვთის ნება და მშვიდად დავთანხმდეთ. არის მეორე გზაც - იმ ხალხს, ვინც ფული მოიხვან და ახლა ამ ნაშრომის დაკარგვის ემშინა - ნასვლის საშუალება უნდა მიეცეთ.

**B1**

**ახინდი**

თბილისი	26
ქუთაისი	29
ბათუმი	24
სოხუმი	26
ფოთი	27
თელავი	24
ზუგდიდი	29
გორი	24
ახმეტა	25
ქიათურა	27
ბაბრა	25

**უსხოვეთი ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

აშშ დოლარი	2.1400
ევრო	2.3396
გიორგანჯა სტერლინგი	3.4154
რუბლი	0.0697





მოკლედ

თბილისი. ელექტროენერჯის საბი-
თუმო ბაზარი, მყიდველისაგან თანხის ამ-
ოღების მიზნით, შეზღუდვების პროგრამ-
ის განხორციელებას ზაფხულის სეზონზე
ეკ გააგრძელებს. ელექტროენერჯის მყი-
დველები ზაფხულშიც გადახდილი თანხის
შესაბამისად მიიღებენ. საბითუმო ბაზრის
მმართველმა კონსორციუმმა „ინტერდრო-
ლამ“ მიზნად დაისახა 2003 წლის ბოლოსა-
თვის დარიცხული ელექტროენერჯის თა-
ხნის ამოღების მარკეტინგული 55 პროცენ-
ტამდე გაზარდოს. ინტერ-პრესი

თბილისი. საქართველოს პრეზიდენ-
ტი უარყოფს საგანგებო ლეგიონის თავმ-
ჯდომარის თემურ ძიძგურის გათავისუ-
ფლების და აღნიშნულ თანადგობაზე მი-
სი მოადგილის ნუგზარ კახიანიურის დანი-
შენის შესახებ გავრცელებულ ინფორმა-
ციას. ინტერ-პრესი

ქუთაისი. იმერეთის რეგიონის არასა-
მთავრობო ორგანიზაციებმა ქუთაისში სა-
ზოგადოების მონაწილეობით შექმნეს ახა-
ლი ანტიკორუფციული საბჭო. საბჭოს შე-
ქმნის ინიციატივა „ახალგაზრდა იურისტ-
თა ასოციაციას“ ეკუთვნის და მას მხარი
ქუთაისში მოქმედმა ათეულობით ორგანი-
ზაციამ დაუჭირა. „უკვე რამდენი წელია,
ქუთაისში ფინანსების მართვის მხრივ
სრული ქაოსია,“ - აცხადებენ არასამთავ-
რობო ორგანიზაციათა წევრები და თვით-
მმართველობის ყველა რგოლს მოუზღვე-
ვენ, ისინჯონ, როგორ უნდა დაინეროს
ადგილობრივი ბიუჯეტი. ქუთაისის ალტერ-
ნატიული ანტიკორუფციული საბჭო უკე-
ვი შეუდგა მუშაობას. მისი წევრები პირ-
დებთან მოსახლეობას, რომ ადგილობრივი
მთავრობის მიერ დახარჯული თითოეული
თეთრი გაკონტროლდება. ინტერ-პრესი

ბათუმი. ბათუმის საზღვაო პორტი
მონაწილეობას მიიღებს მეორე საერთა-
შორისო გამოფენაში TransCaspian-2003,
რომელიც გაიხარება 21-23 მაისს, ბაქო-
ში, ოტელ „ვეროპას“ საგამოფენო კომ-
პლექსში. გამოფენაში მონაწილეობას მიიღ-
ებს 40-ზე მეტი კომპანია 12 ქვეყნიდან.
გამოფენის ძირითადი განყოფილებებია:
საავტომობილო, საკონსტრუქციო, საპაერო
ტრანსპორტი, მულტიმედია/ლოჯისტიკა
დადაზი-
დებები, პორტები და ტერმინალები, სატვი-
რთო მონეიბილობა, ლოჯისტიკა, საკუ-
რიერო სამსახური, დაზღვევა. გამოფენის
ფარგლებში გაიმართება სემინარები და
პრეზენტაციები. კავკას-პრესი

თბილისი. უზბეკეთი აპირებს, საქარ-
თველოს საზღვაო პორტების მემკვიდრეობით
ბაშის ქუჩაში, თბილისში გაიმართება ორი
ქვეყნის დელეგაციის შეხვედრა ბათუმისა
და ფოთის პორტების გავლით ტვირთვა-
დაზიდვების კონკრეტულ საკითხებთან
დაკავშირებით. ბათუმის თემით, უზბეკე-
თის მხარე დაინტერესებულია, რომ საქარ-
თველოს გავლით ბაშის ქუჩაში მასშ-
ტაბები გაიზარდოს. კავკას-პრესი

თბილისი. 2003 წლის პირველ კვარტა-
ლში საქართველოს საფონდო ბირჟაზე სა-
ვაჭრო აქტიურობა წინა წელთან შედარებ-
ში მკვეთრად დეცა. თუ გასულ წელს გა-
ჭრობაში კვარტალში, საშუალოდ, 43 სააქ-
ციო საზოგადოება მონაწილეობდა, მიმ-
დინარე წლის პირველ კვარტალში ეს მაჩ-
ვენებელი თითქმის ორჯერ - 23 მონაწი-
ლეულზე შემცირდა. ამასთან, საფონდო ბი-
რჟაზე მხოლოდ ერთი ახალი სააქციო სა-
ზოგადოება დაარსდა. საქართვე-
ლოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კო-
მისიის თავმჯდომარის მიხედვით, უზბეკე-
თის განცხადებით, ვაჭრობის მოცულობის და
ემიტენტთა ამ მასშტაბებიდან ჩანს, რომ
საწარმოთა უმეტესი ნაწილი საკუთარი
აქტივების ფინანსურ ბაზარზე კოტირებას
არ ახდენს. ინტერ-პრესი

თბილისი. წლევლის, იანვარ-მარტში სა-
ქართველოში შემოსულ ვიზიტორთა რაო-
დენობა, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან
შედარებით, 900 კაციით შემცირდა. სტატის-
ტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფო-
რმაციით, შემცირება, ძირითადად, დსთ-ის
ქვეყნიდან შემოსულ ვიზიტორებზე მოდ-
ის, რომელთა რიცხვი წლევლის 4.900 კაციით
შემცირდა. ამავედროულად, საზღვარგარე-
თის სხვა ქვეყნიდან შემოსულთა რაოდე-
ნობა ოთხი ათასი კაციით გაიზარდა. ვიზი-
ტორების მიერ განეული ხარჯებით ტურიზ-
მის სფეროში მიღებულია 140,9 მილიონი
ლარის ოდენობის შემოსავალი, რაც ქვეყნ-
ის მთლიანი შიდა პროდუქტის 7,6 პროცენ-
ტს შეადგენს. მედია-ნიუსი

თბილისი. საქართველოში ფიჭური
სატელეფონო კავშირის აბონენტთა რი-
ცხვამ წლევლის, 1 აპრილის მონაცემებით,
427,8 ათასი კაცი შეადგინა, - იტყობინე-
ბა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტა-
მენტი. ამ მონაცემების მიხედვით, ქვეყნის
ყოველი მეათე მცხოვრები ფიჭური კავში-
რგაბმულობის კომპანიების აბონენტია.
წლევლის ამ აბონენტთა რიცხვი, შარშან-
დელთან შედარებით, 48 პროცენტით გაი-
ზარდა. ამავე პერიოდში ქვეყნის სატელე-
ფონო ქსელების აბონენტთა რიცხვმა
985,6 ათასი შეადგინა, რაც შარშანდელ
მარკეტებზე 13,6 პროცენტით მეტია.
მედია-ნიუსი

რუსთავი. რუსთავის მეტალურგიულ
ქარხანაში 9 წლის წინ გაჩენილი შ.პ.ს
„თუჯი 21“ ორ წელიწადში ამუშავდება. სა-
ქართველოს ქონების მართვის სამინისტ-
რომ უკრაინულ ინვესტორებთან ხელშეკ-
რულება გააფორმა, რომელიც „თუჯი 21“-
ის ფირმა „ენერჯია და ინდუსტრია კომპ-
ლექსისთვის“ 10 წლის მართვის უფლებით
გადაცემას ითვალისწინებს. ინვესტორები
ქარხანაში 20 მილიონ დოლარს ჩადებენ.
აქედან, 8 მილიონი წარმოების აღდგენას
მომხარდება, 12 მილიონი კი საბრუნავ თა-
ხნად არის ათავალისწინებული. თანხის
ასათვისებლად 2 წლის ვადა განისაზღვრა.
ინტერ-პრესი

თბილისი. საქართველოში საცალო
სავაჭრო ქსელში ვაჭრობის რეალური მო-
ცულობა 2,2-ჯერ აღემატება დეკლარირე-
ბულს, რესტორნების მომსახურების რეა-
ლური მოცულობაც დეკლარირებულს 2,6-
ჯერ აჭარბებს. ინტერ-პრესი

მონიტორინგი

მთავრობის უპასუხისმგებლობა და
გაუმაძღრობა ჩვენი გადასახდელია?

ბრძოლა „ეი-ი-ეს“-თან - თურქმენეთის მიმართ ვალის მეორე წრე



თურქმენბაში მოვალეებისგან ასეთ მოპყრობას ითხოვს.

თურქმენეთის რესტრუქტურირებაში კრედიტი

Table with 5 columns: №, კრედიტი, ბალანსი, საამრტრუხტუო გადასახდები, საამრტრუო გადასახდები, სულ

სს „ფაშინა, ვარაზლიძე, ნოზიძე“ და ქვეთარაძე
სამართლებრივი, სოციალური და გარეკომუნიკაციური
სახელმწიფო უწყისელების და ხარჯების მინისტრატის პროექტის
ფარგლებში წყნე გუბერატის ახალბის და კონსტრუქტის შეყვლით
კოეფდლე გუკნით გუბოში 24 საათი
გუაგუბოში კუადრუკუარ კომპლტრტუების სუადისხი და სბბოი სუკოპუკე
და წინამომდგენლობის სხელმწიფო ორგანიზატინ ურდინობისბ.
გუაგუბოში კუადრუკუარ კომპლტრტუების სუინომინატის ბბნსე
სამართლისა და სხელმწიფო სამართლის.
ტელ: +995 32 02251
ფუქს: +995 32 30281
კო-ფუტუ: office@dvnk.ge
www.dvnk.ge

„ეი-ი-ეს“ გაკოტრების ნაცვლად
სწრაფი გამდიდრება „ეი-ი-ეს“
ბანკსა კონიკაბი
„ერონის“ სკანდალის გამო სხვა
უამრავი ენერგოკომპანია დაზარა-
ლდა და გაკოტრებამდე კი მივიდა.
თუმცა, ზოგიერთმა ამ კრიზისს გაუ-
ძლო და სეროზული დარტყმის გა-
დატანის მიუხედავად, მნიშვნელოვან
წარმატებებსაც აღწევს. ცნობილი
საინვესტიციო ბანკის Williams
Capital Group-ის ანალიტიკოსები
მიიჩნევენ, რომ ამერიკული კორპო-
რაცია „ეი-ი-ესი“ (AES), რომელიც
თბილისის ელექტროსადისტრიბუ-
ციო კომპანიის მფლობელია, მყარად
აღგას ძველი სტაბილურობისა და
მომგებობის დაბრუნების გზას.

MBG ემბიჯი
MICROFINANCE BANK OF GEORGIA
საქართველოს მიხროსაფინანსო ბანკი
ჩვენი სავიზიტო ბაზათი
29% IMI (საქთსამოხისო მიქრო რნესკრეციები, გუბანია)
20% KFW (გუბანისი განვითარების სახელმწიფო ბანკი)
16% IFC (საქთსამოხისო საფინანსო ოტანონსუკი, აშშ)
15% COMMERZBANK (კომერცბანკი, გუბანია)
10% FMO (პოლანდის განვითარების ბანკი)
10% EBRD (ეფიპისი ხუკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი,
დიდი ბრიტანეთი)
www.mbg.com.ge
ფინანსების ბანკი



# უკვე დღე სახურავზე



საკრებულოს თავმჯდომარემ სახურავების შეკეთება დაიწყო.

## ითარ გაგულავაძე

გუშინდელი უკვე დღე საკრებულოს თავმჯდომარემ "სახურავზე" გაატარა - ჯერ ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი შეაკეთა, მოგვიანებით კი სათამაშო მოედნებს ჩამოუარა. მუშობებიდან ერთად ჭიკა შამაგურიც დალოა და ცნობისმოყვარე ბავშვებს ავტოგრაფებიც დაუზარადა დაურეგა. ეს ყველაფერი გლდანის მეორე მიკრორაიონის 27-ე კორპუსში მოხდა. აქაურებს ნამდვილად აქვთ თავის მოწონების და სიამაყის საფუძველი.

გლდანელები დიდხანს ვერ სწყვეტდნენ თვალს გუშინ მათთან სტუმრად მყოფ სააკაშვილს. მუშის ხაკისფერი ხალხითა და მწვანე ფერის "კასიკი" საკრებულოს თავმჯდომარის გამოიქნა ბევრისთვის ნამდვილი სიურპრიზი იყო. პირდაპირული და მუბღღე წარბედასული რამდენიმე მეზობელი სახურავზე ამჭურავ სააკაშვილს ეზოდან უცქერდა, რადგან სახურავზე ყველას საჩუყრი ადვილი არ აღმოჩნდა.

წლების განმავლობაში სახურავიდან ჩამოსული წვიმისა და თოვლის წყალი კორპუსის მაცხოვრებლებს მოსვენებას არ აძლევდა. დღეიდან კი ამ მხრივ მშვიდი ცხოვრება გარანტირებული აქვთ - დაახლოებით, ასე კვლავ რატული მეტრი ფართობის, დახვერტილი სახურავი გუშინ საკრებულოს თავმჯდომარემ მიდრიონილატორით

# რუსთაველი პენსიონერების გასაჭირი

აია არსიაშვილი

"ნაციონალურმა მოძრაობამ" გაჩინული პენსიების სასამართლოს გზით მათი მფლობელებისათვის დაბრუნების აქცია ერთდროულად რამდენიმე ქალაქში დაიწყო. მათ სამტრედიასა და ქუთაისში პროცესი უკვე მოიკა. რუსთაველი კი საქმე სასამართლომდე ვერ არ მისულა.

ნაციონალური მოძრაობის "პენსიონერთა აქცია" სახით რუსთავის საპენსიო ფონდს, შესაძლოა, დიდი პრობლემა გაუჩნდეს. "ნაციონალურმა" რუსთაველი ათასობით პენსიონერის ხელმოწერა შეაკრავს, რომელთა თანხმად, ეს ადამიანები მათ საკუთარი გაჩინული პენსიის სასამართლოს გზით დაბრუნების რწმუნებულებას აძლევენ. არსებული საპენსიო დავალიანების თაობაზე ინფორმაცია რუსთავის საპენსიო ფონდში ინახება. ფონდის ხელმძღვანელობისა და ნაციონალურ მოძრაობის თავდაპირველად კონსულტაციები მიმდინარეობდა, თუმცა ბოლოს კონსტრუქციული თანამშრომლობა ურთიერთპაირობისპირებიდან გადაინარდა. იქვე ვერ კიდევ ერთი თვის ნიშნით ადგილობრივი საპენსიო ფონდს, თავდაპირველად წინააღმდეგობა არ გაუწევს, ხოლო მოგვიანებით გამოგვიდავდეს, რომ მოვანარი დახმარებას ვერ გაგიწევნენ. მიზეზი ამისა ერთადერთია, ქვეყანაში გაჩინული პენსიების დარიგება მიმდინარეობს ძალიან "საინტერესო" ფორმით - პენსიონერებს სიავაზობენ, ნახევარი დაკვიტოვები და ნახევარს მოგვცემთ. სწორედ ეს ტკბილი ლუკმა არ ეთმობა ადგილობრივი საპენსიო ფონდს. - განუცხადა „24 საათს“ კობა დადიანვილი, რომელიც საქციელიწად იყო ჩამოსული რუსთაველი ფონდის შენობის წინ მიტინგის ჩასატარებლად. "ნაციონალურმა" ფონდის ხელმძღვანელს ადმინისტრატორ კოდუქსუე და-

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინ, წინააღმდეგობა პირველად დასრულებული სხენების დღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წმინდა სამების მშენებარე საკაედრო ტაძარში საზეიმო წირვა აღავლინა. **ინტერ-პრესი**

**ქუთაისი.** გუშინ მუშაობა დაამთავრა გელათის მენეჯერებათა აკადემიის საგზავრეული სესიამ. იგი სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ს დაბადების 70-ე და აღსაფარების 25-ე წლისთავს მიეძღვნა. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** მსოფლიო პატრიარქის, პართოლოგოს პირველის მინვევით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე სამშაბათს სტამბულს ერთკვირიანი ოფიციალური ვიზიტით ეწევა. **პრაიმ-ნიუსი**

**თბილისი.** კავშირ "ართ პოლის" ინიციატივით დაწყებული მოძრაობის - "ერთად XXI საუკუნეში", ფარგლებში პირველდამწყველ ქრისტოანთა მუცე მირიანისა და დედოფალ ნანას სახელობის მუხიანის ტაძრის ტერიტორიაზე მწვანე აქცია ჩატარდა. **მედია-ნიუსი**

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ ორი წლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება შეუღებს, დიდი სამაშალო ომის ვეტერანებს ღირსეული პატივი მიავს და მატერიული მდგომარეობა გაუმჯობესოს. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** განათლების სამინისტროს ინიციატივით, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, თბილისელი მოსწავლეები განათლების სამინისტროს შიდა ფაქსადებს მოხატავენ. **მედია-ნიუსი**

# „კმარა!“ - მთელს საქართველოში

## პირველი გვირაობი

ხიდაშელის გარდა, ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილებასთან აქციაში ასევე "თავისუფლების ინსტიტუტი", "სტუდენტური ლიგა", "ახალგაზრდული გაერთიანება", "თბილისის პრეს-კლუბი", საზოგადოებრივი ცენტრი "ალტერნატივა" და სხვები მონაწილეობდნენ. მოპოკეტებში, ადვოკატ ევა ბეგელიასთან ერთად, მისი კოლეგა ცეზარ ფუტყარაძე იდგა. სხვადასხვა ქალაქში აქციების ჩატარება სწორედ მისი ფიზიკური შეურაცხყოფის გამო გადაწყდა.

თბილისში ვაკე-საბურთალოს პოლიციასთან შეკრებილმა ახალგაზრდებმა პოლიციელებს "ცოტა" აკმარეს - ცხვირწინ ტრანსპარანტები აუფრიალეს, საპროტესტო-წარწერაინი აღმები ჩამოურთვეს, "კმარას" წარწერებით მიმდებარე ტერიტორია გაულამაზეს, ეზოში კი ფერად ქაღალდზე ამოზეჭდილი კონსტიტუციის ნაწყვეტები შეუყარეს. **"ძალიან წუ გადათელავთ. წაიხსეთ, თქვენვე გამოგადგებათ,"** - არიგვდა მერე ერთი სტუდენტი გოგონა რამდენიმე პოლიციელს. პოლიციელებს სხველის თუ კითხვის სურვილი ამკარად არ გამოუვლენიათ. "პროკლამაციებისკენ" ერთსაც კი არ გაუხედავს. **"ისედაც ყველაფერი კარგად ვიცით,"** - განუმარტა ყველაზე თავაზიანმა სტუდენტს. აღსანიშნავია, რომ თბილისელი პოლიციელები აგრესიულობით ამკარად არ გამოირჩეოდნენ. ნახევარი საათის შემდეგ აქცია დაიშალა. პარიკადების სხვადასხვა მხარეს მყოფები ერთმანეთს თბილადაც კი დაემშვიდობნენ: "აბა, მომავალ აქციაშიდეო".

**თელავი.** დაახლოებით, 20-მა სტუდენტმა პოლიციის განყოფილების წინ, "კმარა ძალიანობა", "კმარა ფორმიანი ყაჩაღები" წარწერაინი დროშებით, მდლოდ შემკობა გადაწყვიტა. პოლიციელები მათ წინაშე დაიცვისკენ მოუნიღებდნენ. **"რიმლი კანონის რომელ მუხლს ვარღვევთ?"** - საშარათლიმ სცდმდნენ ახალგაზრდები სამართალდამცველებს. "შედიკომ თქვენს გამო უკვე საყვედური ვითობრა, ქალაქში გაჩენილი წარწერებს გამო" - მიდგომის ხერხი შეცვალეს პოლიციელებმა.

თუმცა, უმედეგოდ. ცნობისათვის, ქალაქის გამგებელს "სამინელი" წარწერების აღგა-ალაგ გასანადგურებლად საკუთარი ჯიბიდან 500 ლარის დადება მაინც მოუხდა. ახალგა-



"კმარა" - თბილისელ პოლიციელებს.

ზრდებმა სამმართველოს ტერიტორიიდან აეროპორტისკენ გასწიეს. გზადაგზა კონსტიტუციის ნაწყვეტებს აბეგდნენ. კვალდაკვალ გაყოლილ სამართალდამცველები მათ სისუფთავის დაცვისკენ მოუნიღებდნენ.

**ხაშური.** 15 აქციისკენ ერთად აქ "გაერთიანებული დემოკრატები" გამოჩნდნენ. ყველამ ერთად პლაკატზე ხელმოწერები დატოვა.

"სუვენირი" შემდეგ პოლიციელებს უსახსოვრეს. თუმცა, ამ უკანასკნელთა საჩუქარი დიდად არ ებიძგნებოდა აქციის შემდეგ ნივთბიციებების, პლაკატებისა და ტრანსპარანტების განადგურებით დაკავდნენ.

**ფოთი.** 25-30-მა ყაცმა მსველებმა 26 მაისის ქუჩიდან დაიწყეს. მამრიებით დაკავებულთა შორის "ნაციონალური მოძრაობა", არასამთავრობო ორგანიზაციები - "დემოკრა-

# პოლიცია ახალგაზრდების მხედრობიანი აქცია დაარბია



პოლიცია აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ.

კრეტული ფაქტები დაგვიდონ და იმაზე ვუპასუხებთ. ეს აქცია შკვეთილი და დაფინანსებულია კერძო მინოგენული სიტუაცია მარტო შიდა ქართლში არ არის გართულებული, ყველგან ასეა."

"ქვეყანაში კანონის უზენაესობა არ არსებობს. ჩვენ რომ არ ავიმართო სმამ დაფინანსებულია, რაც ხელისუფლებამ ყოველდღიურობად გვეცია, მალე სახლიდან თავს ვერ გამოვყოფთ. შეიძლება მართლაც იყვნენ პატიოსანი პოლიციელები, მაგრამ უმრავლესობა კრიმინალურად არის შეკრული," - აცხადებს "ანტიკორუფციუ-

ლი კავშირის" თავმჯდომარე ვალერი ტეტუნაშვილი. "ყველამ იცის, რომ ბევრმა ფორმას შეაფარა თავი და საკუთარი კითხვებმა მოიხსო. ჩვენ დღეს მხოლოდ პროტესტი გამოვხატეთ, დავანახეთ, ვინ რას წარმოადგენს," - გვითხრა აქციის ერთ-ერთმა საუბრობას "თავისუფლების ინსტიტუტის" რეგიონულმა წარმომადგენელმა გონა ჩხეტიამ.

ქუთაისის პოლიციის უფროსი თემურ ნოზაძე აღნიშნულ აქციას პროვოკაციას უწოდებს. მას მიაჩნია: ქუთაისში პოლიციას ისეთი არაფერი ჩაუდენია, რომ ქუჩის აქციები

ტიული საზოგადოების ცენტრი", "მუნიციპალური განვითარების ცენტრი", "ახალგაზრდული ალიანსი" იყვნენ.

**სამტრედი.** 20 ახალგაზრდა, მათ შორის "ახალი დემოკრატები", "ნაციონალური მოძრაობა", ეხვედნენ - "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის", "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" - ერთად ადგილობრივი სამართალდამცველებს არსებული რეჟიმის გამო აკრიტიკებდა. რუსთაველ პოლიციელებს ამკარად უყვირდათ - "საქმის კეთება რაღა ჩვენგან დაიწყეთო".

**ზუგდიდი.** 30-35 პროტესტანტში "ვეროკავასიური თანამშრომლობის ასოციაცია" წანდა. აქციის მონაწილეების მხარდაჭერას მონიღებებით გამოხატავდნენ: მომავალი აქცია უფრო ხალხმრავალი და მასშტაბური გახადეთო. ტრანსპარანტები აქც პოლიციელებს დაუტოვეს. **ახალციხე.** აქაურმა აქციისტებმა (დაახლოებით, 40 ადამიანი), 25-მეტრიანი ტრანსპარანტი "შექმნეს" წარწერით: "მოვიტხოვთ პოლიციაზე ზედამხედველობის საზოგადოებრივი საბჭოს შექმნას". მონაწილეთა შორის "დემოკრატ მესხთა კავშირი" და "დამოუკიდებელი იურისტთა ასოციაცია" აღმოჩნდა. ტრანსპარანტი ქალქის ერთ ნაწილში დატოვეს და გზას სამხარეო პოლიციის განყოფილებისკენ სასტვენებით გაუყვეს. მას შემდეგ, რაც ადგილობრივი პოლიციის მალაჩინოსნები აქციის "ხუციგნობად და წესრიგის დარღვევად" შეფასებით მოპოკეტებთან ვერაფერს გახდნენ, მათ ადგილზე დარჩენის უფლება მისცეს.

**ოზურგეთი.** ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლები, დაახლოებით, 30 ახალგაზრდას პრეზიდენტის ინტერესების განსაკუთრებულ დაცვას დაჰპირდნენ. თუმცა, თავიდან, პოლიციის შორიდან მომზირალმა წარმომადგენლებმა მათი შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან მოპოკეტების განდევნა ვერ შეძლეს. პოლიციის უფროსმა ის კი მოახერხა, რომ ნადავლის სახით მოპოვებული თუ, უზრლოდ, დატოვებული ტრანსპარანტების პროკურატურისათვის გამოძიების საწარმოებლად გადაცემა გადაწყვიტა.

# გამაფრთხილება პოლიცია

## ქუთაისის პოლიციასთან

"საქართველოს ციხეებსა და კოლონიებში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანწმუნა, რომ სამართალდამცველი სტრუქტურები ღრმა კრიზისშია. ისინი ვერ ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს - დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი და მოქალაქეთა უფლებები. უფრო მეტიც, ხშირად პოლიცია თვითონ გვეცილება მოძამად. ასევე გავაჩინა ინფორმაცია, რომ პოლიცია ხელისუფლების დაკვეთითა და მათი ინტერესების განხორციელების სურვილით აპირებს არჩევნების პროცესში ჩართვას. ამიტომაც, არა-

სამთავრობო ორგანიზაციებმა პოლიციის სამმართველოს წინ გამაფრთხილებელი აქცია მოვაწყვეთ; გვსურს, სამართალდამცველებმა საკუთარი ფუნქციების შესრულება ისწავლონ და პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისგან თავი შეიკავონ," - განაცხადა ჩვენთან საუბრობას "თავისუფლების ინსტიტუტის" რეგიონულმა წარმომადგენელმა გონა ჩხეტიამ.

ქუთაისის პოლიციის უფროსი თემურ ნოზაძე აღნიშნულ აქციას პროვოკაციას უწოდებს. მას მიაჩნია: ქუთაისში პოლიციას ისეთი არაფერი ჩაუდენია, რომ ქუჩის აქციები

ყოფილიყო საჭირო.

"ქუთაისში პოლიციის მხრიდან რამე დარღვევა შეიძლება იყო, მაგრამ ისეთი არაფერი მომხდარა, რომ ამისთვის აქციები მიტყარონ. როგორც მოდინა და მიტყარნებიან - კმარაო, ერთი ფაქტი ხომ უნდა მიიხრან - რა კმარა?.. ჩვენ ვიცით, რომ არჩევნები წორმალურად იქნება ჩატარებული და იქ "არასამთავრობო" თავად დაიცვენ წესრიგს... პოლიცია ქვეყანას არ აქცევს, იგი ხალხს სჭირდება და ხალხის საქმე აკეთებს," - აცხადებს ქუთაისის პოლიციის უფროსი.



# საბადასახადო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში

## კახა დამინია

### მოგების გადასახადი

აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში მოგების გადასახადის განაკვეთი განსაზღვრულია პროცენტებში (იხ. N1 ცხრილი), თუმცა სომხეთში ზოგიერთი გადასახადისათვის ან საქმიანობის სფეროსათვის დაწესებულია ფიქსირებული გადასახადი, რომელიც ცვლის მოგების გადასახადს. ფიქსირებულ გადასახადებს მიეძღვნება ცალკე ანალიტიკური წერილი.

იურიდიული პირების დივიდენდების დაბეგვრის რეჟიმები მოცემულია N2 ცხრილში.

საქართველოსა და აზერბაიჯანში დივიდენდი იბეგრება გაცემის წყაროსთან 10 პროცენტით. თუმცა, აზერბაიჯანში იგი შემდგომ დაბეგვრას აღარ ექვემდებარება, ხოლო საქართველოში - დივიდენდი შედის ერთობლივ შემოსავალში. იურიდიული პირი გაცემის წყაროსთან დაკავებულ თანხას ჩაითვლის და საბოლოოდ მოგების გადასახადს დივიდენდზე ისევე იხდის, როგორც სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებულ შემოსავალზე. ანუ, პრაქტიკულად, საქართველოში იურიდიული პირის დივიდენდი იბეგრება 20 პროცენტით განაკვეთით.

აზერბაიჯანში, თუ იურიდიული პირის ზარალი დაუფიქსირდება, მას მაინც უნევს დივიდენდზე 10 პროცენტით გადასახადის გადახდა. საქართველოში კი, ზარალის შემთხვევაში იურიდიული პირი გაცემის წყაროსთან დაკავებულ დივიდენდის გადასახადს ჩაითვლის ან დაბეგვრებს. თუმცა მომგებიანი სანარმოს შემთხვევაში, აზერბაიჯანში უფრო ნაკლები საგადასახადო ტერიტორია დივიდენდის დაბეგვრაზე.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების (სახაზინო ვალდებულებების) და ბეგვრის რეჟიმში მოცემულია N3 ცხრილში.

არარეზიდენტების (უცხო ქვეყნის სანარმოსების) დაბეგვრის რეჟიმში მოცემულია N4 ცხრილში. მათ არ გააჩნიათ მუდმივი დანესებულება და შემოსავლის ილბენ ამ ქვეყნების წყაროდან, იბეგრებიან N4 ცხრილში განსაზღვრული ოდენობით, არარეზიდენტების მოგების გადასახადის დაბეგვრის სისტემის ანალოგიურად.

სომხეთის შესაბამისი კანონმდებლობის ფორმულირებები გაცხადებით მარტივი და ნაკლებად დიფერენცირებულია. გარდა ამისა, სომხეთში დივიდენდზე დანესებულია შეღავათი. კერძოდ, არარეზიდენტი იურიდიული პირის მიერ სომხეთის წყაროდან მიღებული შემოსავალი იბეგრება 0 პროცენტით, თუ ერთდროულად სრულდება ქვემოთ ჩამოთვლილი ოთხი პირობა:

1. დივიდენდის მიმღები არარეზიდენტი არ იბეგრება მოგების გადასახადით იმ ქვეყანაში, რომლის რეზიდენტსაც ის წარმოადგენს;
2. არარეზიდენტს ნილი ეკუთვნის არანაკლებ ორი წლის განმავლობაში;
3. არარეზიდენტის ნილი სანესადეობა კაპიტალში ბოლო ორი წლის განმავლობაში შეადგენს არანაკლებ 25 პროცენტს;
4. არარეზიდენტი წარმოადგენს ნილის ფაქტობრივ მფლობელს.

სავარაუდოა, რომ აღნიშნული შეღავათი მორგებულია კონკრეტულ გადასახადზე და განპირობებული იყო კერძო ინტერესებით.

### საშემოსავლო გადასახადი

სამივე ქვეყანაში მოქმედებს საშემოსავლო გადასახადის პროგრესული შკალა (იხ. N5 ცხრილი).

გარდა ამისა, არის გარკვეული გამოთვლის წესები, რომლებიც გაცემის წყაროსთან იბეგრება და გამოიყენება სხვა განაკვეთები (იხ. N6 ცხრილი).

საქართველოში საშემოსავლო გადასახადის შკალას მხოლოდ ფორმალურად აქვს პროგრესული ხასიათი, რადგან 300 აშშ დოლარიანი წლიური შემოსავლის ზევით ყველა გადასახადი იბეგრება მაქსიმალური (20 პროცენტით) განაკვეთით.

სამივე ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები მნიშვნელოვნად არის დიფერენცირებული, რაც ართულებს საშემოსავლო გადასახადის სისტემას.

არარეზიდენტები, რომელთაც არ გააჩნიათ მუდმივი დანესებულება ამ ქვეყნებში და შემოსავალს ილბენ ამ ქვეყნების წყაროდან, იბეგრებიან N4 ცხრილში განსაზღვრული ოდენობით, არარეზიდენტების მოგების გადასახადის დაბეგვრის სისტემის ანალოგიურად.

ქვეყნის დასახელება	აზერბაიჯანი	საქართველო	სომხეთი
განაკვეთები	25%	20%	20%

ქვეყნის დასახელება	აზერბაიჯანი	საქართველო	სომხეთი
განაკვეთები	10%	10%	0%
დივიდენდზე			

ცხრილი N4

განაკვეთები არარეზიდენტებისთვის (უცხო ქვეყნის საწარმოები), რომელთაც არ გააჩნიათ მუდმივი დანესებულება და შემოსავალს ილბენ ამ ქვეყნებში არსებული წყაროდან

N	შემოსავლის სახე	აზერბაიჯანი %	საქართველო %	სომხეთი %
1	დივიდენდები	10	10	10
2	პროცენტები	10	10	10
3	საოჯახო გადასახადი და როიალტი	10	10	10
4	რისკის დასაღვევსა და გადასახადების საფუძველზე გადახდილი თანხა	4	4	5
5	საღიანიფო გადახდები	4	10	10
6	საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელეკომუნიკაციის მომსახურებისათვის გადახდილი თანხა	6	4	10
7	საერთაშორისო გადასახადებზე სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადახდილი თანხა	6	4	5
8	სხვა სახის გადასახადებზე მომსახურებისათვის გადახდილი თანხა (ფრანტი)	10	10	5
9	ამ ქვეყნებში წარმოებული საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების, ან მომსახურების გაწევის მიღებული შემოსავალი	10	10	10
10	ამ ქვეყნების გადამხდლების მიერ მართვისთვის, საფინანსო და სხვა კონტრაქტის საფუძველზე გაწეულ მომსახურებაზე გადასახადი თანხა	10	10	10
11	ამ ქვეყნების სხვა წყაროდან გადახდილი თანხები	10	10	10

### საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები

აზერბაიჯანი		საქართველო		სომხეთი	
შემოსავლის ოდენობა წლის განმავლობაში \$-ში	განაკვეთი	შემოსავლის ოდენობა წლის განმავლობაში \$-ში	განაკვეთი*	შემოსავლის ოდენობა წლის განმავლობაში \$-ში	განაკვეთი**
240-მდე	0%	100-მდე	12%	1855-მდე	10%
240-2400	12%	100-175	15%		
2400-12000	25%	175-300	17%		
12000-ზე ზევით	35%	300-ზე მეტი	20%	1855-ზე მეტი	20%

\* ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალზე განსაზღვრულია ყოველთვიური დაუბეგრავი მინიმუმი \$4,5-ის ოდენობით, ანუ წელიწადში \$54-ით. ამასთან, აღნიშნული დაქვითვა ხდება მხოლოდ პირთადაი სამუშაო ადგილის ხელფასიდან მიღებულ შემოსავალზე  
 \*\* ფიზიკური პირის შემოსავალი ყოველთვიურად მცირდება \$36-ის ოდენობით. ამასთან, საგადასახადო აგენტი აწარმოებს ამ გამოქვითვას იმის მიუხედავად, სხვა საგადასახადო აგენტმა ამ ფიზიკურ პირს გამოუქვითა თუ არა აღნიშნული თანხა

ქვეყნის დასახელება	აზერბაიჯანი	საქართველო	სომხეთი
განაკვეთები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სარგებელზე (პროცენტზე)	25%	10%	0%

ცხრილი N6

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები, რომლებიც არ იბეგრება N5 ცხრილში მოცემული განაკვეთების მიხედვით

N	შემოსავლის სახე	აზერბაიჯანი %	საქართველო %	სომხეთი %
1	როიალტი	შკალის მიხედვით**	შკალის მიხედვით	10
2	არეზიდენტი მიღებული შემოსავალი	შკალის მიხედვით***	შკალის მიხედვით****	10
3	პროცენტი	10	10	10
4	დივიდენდი	10	10	0
5	სახაზინო ვალდებულებებიდან მიღებული სარგებელი	10	10	0
6	სახაზინო ვალდებულებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი	შკალის მიხედვით	0	0
7	ფიზიკური პირის მიერ ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავალი	შკალის მიხედვით*****	0	10

\* გაცემის წყაროსთან კავება შემსყიდველის მიერ  
 \*\* გაცემის წყაროსთან კავება 10%-ის ოდენობით  
 \*\*\* გაცემის წყაროსთან კავება 10%-ის ოდენობით  
 \*\*\*\* გაცემის წყაროსთან კავება 20%-ის ოდენობით თუ ფიზიკური პირი არ არის გადამხდელად რეგისტრირებული საგადასახადო ორგანიზაციაში  
 \*\*\*\*\* განიავისუფლებულია უმრავლეს შემთხვევაში, თუ იგი გადამხდელის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა მინიმუმ ბოლო 3 წლის განმავლობაში. ასევე განიავისუფლებულია მომავალი ქონება, გარდა მფრფხის ქვებისა და ლითონის, ანტიკვარებისა, რომლებიც გამოიყენებოდა სამწარმოო საქმიანობისთვის.  
 \*\*\*\*\* თუ ქონება (მატერიალური აქტივი), რომლის რეალიზაციაც ხდება, გამოიყენებოდა სამწარმოო საქმიანობისთვის, იბეგრება შკალის მიხედვით  
 \*\*\*\*\* გაცემის წყაროსთან კავება შემსყიდველის მიერ 10%-ის ოდენობით სოფლისმეურნეობის პროდუქტისა და ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების გარდა

ცხრილი N5

# საქართველოში!



FOX KIDS CUP

ფოქს კიდსის თასზე მსოფლიო ჩემპიონატზე შესარჩევი ტურნირები




და





იტალია, ბრაზილია, არგენტინა, საპარტეველო, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი... ფოქს კიდსის თასზე მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობს მსოფლიოს 20 ქვეყანა. გომონებისა და გიჟების გაგარკვევადი ბუნდები გაგებავს ბავშვებს კოლანდიაში.





### "ორი მდინარის შესართავთან კვდება ქალაქი..."

შარშან საერთაშორისო ასოციაცია "კვალს" მიერ ჩატარებულ ლიტერატურულ კონკურსში 1 პრემია მიენიჭა ვანო ჩხიკვაძის პიესას "მონოლოგი ერთი მსახიობის თეატრისათვის". მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა ჯემალ მონიავამ პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლის "ორი მდინარის შესართავთან..." პრემიერა 10-11 მაისს გორის გიორგი ერისთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში წარმოადგინა, 22 მაისს კი სპექტაკლს თბილისელი მყურებელი მარჯანიშვილის თეატრში იხილავს.



ჯემალ მონიავა.

#### ვასილ გულაური

სპექტაკლი რომელიც, როგორც პიესის სახელწოდებებიდანაც ჩანს, ერთი მსახიობის მონოლოგია, იმ ცხოვრებისეულ პრობლემებს ეხება, იმ პროცესებს ასახავს, რაც ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში მოხდა. "მარტო ეს ათწლეული რად ღირს, ვის არ დაეცემა და დაარქვება, ჩვენთვის რომ ხეირი დაეყრება... თუ ღმერთს სამართალი აქვს, ქართველებს, ეს ათი დაკარგული წელიწადი მაშინ უნდა დაგვიბრუნოს, როცა ყველას "ლიმიტი" ამოეწურება..."

ამბობს პიესის გმირი, თეატრის დურგალი, რომელსაც ღამით შეუსრულებელი როლები ესიზმრება. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლში მხოლოდ ერთი მსახიობია და ვიზუალური ეფექტები ნაკლებია, ჯემალ მონიავა მაყურებელს არ აძლევს მონყენის საშუალებას და ტკივილით ხავე ამოძახილით ახსენებს, რომ "კვდება ქალაქი".

"მე აქაური არა ვარ, მაგრამ ძალიან ბევრი რამ მაკავშირებს ამ ქალაქთან და იმ ტკივილთან, რაც სტკივა ვანოს. მაგრამ ეს მარტო ვანოს ტკივილი არ არის, მარტო ქალაქის ტკივილი არ არის - ქვეყნის ტკივილია. არ კვდება ქვეყანა? ეს მკაცრი გაფრთხილებაა, იქნებ კიდევ შეიძლება გადარჩენა? ეს ნაპერწკალი უნდა დარჩეს. გადავხედავ ჩვენს ისტორიას, რამდენჯერ შეიძლება ხელის ჩაქვევა. არა, ცოცხლობს კიდევ ვრი, ცოცხლობს ქვეყანა, ცოცხლობს ლიტერატურა და საბუნებისმეტყველო, თეატრიც, როგორც ხედავთ." - თქვა ჯემალ მონიავამ ჩვენთან საუბარში.

"პიესას კარგად ვიცნობ, მე თვითონ გამოაქვეყნე "ჩვენი მწე-

Advertisement for the festival 'Gift' in Tbilisi, featuring a stylized illustration of a person and text about the event dates (May 1-14, 2003) and location (Georgian International Festival of Arts).

#### თამარ სანიშვილი

კარგად გახსოვთ, ალბათ, ის რეკლამა, ტელევიზიით ხშირ-ხშირად რომ ტრიალებდა და ნიკო გომელაურის პოეზიის საღამოზე რომ ეპატიჟებოდა მაყურებელს მისივე ლექსის სტრიქონებით: "ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა..."

დღეიდან, უფრო სწორად გუმინდელი დღიდან, ნიკო გომელაურის ნიგნად დაბეჭდილ ლექსებს აუდიონიანურიც - აუდიონიგნიც შეემატა, რომელსაც "ჩემს ქალაქში ყველაფერი მოსულა" ჰქვია და რომელიც 43 ძველ და ახალ (1995-2003 წლებში დაწერილ) ლექსს აერთიანებს. პოეტი ლექსებს მუსიკის ფონზე კითხულობს. მუსიკალური გაფორმება კოტე მალანიას ეკუთვნის, რომელიც, ნიკო გომელაურმა ამ ნიგნის სრულყოფილი თანავეტორად გაგვაცნო.

აუდიონიგნის პრეზენტაცია 12 მაისს "თავისუფალ თეატრში" გაიმართა. ეს პრეზენტაცია უჩვეულო იქნება, - თავიდანვე გნებობს მისმა მასპინძელმა და ასეც იყო. გუმინდელი საღამო ნამდვილად არ ჰგავდა სხვა პრეზენტაციებს, აქ არ ყოფილა არც მხოლოდ ლექსების კითხვა, არც მხოლოდ პოეზია. საღამო, რომელიც არატრადიციულად პუნქტუალურად დაიწყო, "ყველაფერი მოსულა" აუდიონიგნით გახსნა, დარბაზს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ "აქ სიყალბე უმთავრესი მარტოა", და ა.შ., და ყველასთვის მოულოდნელად, მიკროფონთან ნიკო გომელაური კი არა, "უცნობი" გამოჩნდა ცნობილი "საარჩევანი სიმღერით" ("ქალაქი, რომელიც ჩემს ქალაქს აღარ ჰგავს"), რომელმაც შუა სიმღერაში დარბაზში გადაიხტა ცელა, სიმღერა კი ნიკო გომელაურმა დააბოლოვა. გაია, ამ სიმღერის ტექსტს შენიშო? - დარბაზში ეკითხებოდა "უცნობს" პოეტი იზა ორჯონიკიძე, რომელსაც თურმე გიორგი ვაჩეჩილაძის ყველა სიმღერა მოსონს, "აინუ კაბას" გარდა; არა, ნიკოსიო, - პასუხობდა "უცნობი".

"უცნობის" გამოხვლა მაყურებელისთვის, განსაკუთრებით კი ბავშ-

# ყველაფერი მოსულა

მოუ ლექსებით, სიმღერით და პანტომიმით



უცნობი



ნიკო გომელაური

ვებისთვის, დიდი სიურპრიზი იყო, ალტაცებულები შესცქეროდნენ სცენას. აი, მსახიობ რამაზ იოსელიანის სცენაზე გამოჩენა კი თვით ნიკო გომელაურისთვისაც ისეთი მოულოდნელი აღმოჩნდა, მენ რაღა იოსელიანი, - ნამოსცდა კიდევ სიცოცხლე. რამაზ იოსელიანმა, რომელიც აქამდე, როგორც თავად იხუმრა, სულ კლასიკით სცენას უმჯობობდა, ახლა ნიკო გომელაურის ლექსი ნაგვიკითხა, ბევრი ტაში და მეგობრისგან კიდევ ერთი რეპლიკა მიიღო: ზეპირად მაინც გეცნაოდა.

კიდევ რა? - კიდევ პოეტი დაპირებისაშტო გვიკითხავდა თავის ნაწერებს სწორედ იმ მუსიკის თანხლებით, რაც აუდიონიგნშია: "რამდენიმე ლექსს მოგასმენინებთ, თუ ნიგნს იყიდით 43-ვეს მოსმენეთო." ამის მერე მან დარბაზში მსხდომთ სთხოვა აზრის გამოთქმა. აზრის მოქმელი, თა-

ნაც კარგი მოქმელი გუმინ "თავისუფალი თეატრის" პატარა სივრცის კვალაობაზე ცოტანი არ ყოფილა. "ჩემო მეგობრებო, მოდი ვიყოთ გულწრფელები და ნაღდად გამოვხატოთ ჩვენი გრძობები, რასაც დღეს ვისმენთ, ეს ნამდვილი, დიდი, ქვემოთ რიტუა პოეზიაა. შეიძლება ვილაცას ეს ნათქვამი გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ გაბუნებულ ემოციების ასაკიდან გამოსული კაცი ვარ და ვიცი, რასაც ვამბობ", - სცენაზე ავიდა ვახუშტი კოტიციშვილი. "21-ე საუკუნის ფრანსუა ვიოინი" - ასე დაახასიათა ბატონმა ვახუშტმა ნიკო გომელაური. ახალგაზრდა პოეტისთვის საქვეპირი სიტყვები იზა ორჯონიკიძემ, მანანა ბერიკაშვილმა და მიხეილ ქველიძემაც არ დაიმურეს და მისი პოეზია ასეთთნარად დაახასიათეს: გაურანდავი ლექსები, ირონიისა და თვითირონიის, სკაბრეზულობისა და

სერიოზულობის ნახავი, უზარმაზარი სევდა და დიდი მოქალაქეობრივი პოზიცია. "შენ სხვისი ტკივილი მაგრძობინე... მე დღეს ახლოს გაგიცანი, მე დღეს შეგიყვარე, შენ ჩემი მეგობარი ხარო", - დარბაზთან შეეხმიანა ნიკო გომელაურს მიხეილ ქველიძე. "თავისუფალი თეატრის" სცენაზე ნიკო გომელაურის სამი ლექსი: "გულში გავაღო შევიფერე", "წელიწადის ყველა დღეს" და "შევიფერე ული მსახიობის მონოლოგი" კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრის ორმა მსახიობმა მოძრაობაში გააცოცხლა. ღამაში ხანმოკლე მოუ ლექსებით, მუსიკით და პანტომიმით ნიკო გომელაურისა და "უცნობის" სიმღერის (ლადო ასათიანის ლექსზე) პრემიერი დასრულდა, რომელიც მათ ჯგუფ "გოგლიმოგლიან" ერთად შეასრულეს.

## როგორ დაიბადა „ემბრონი“

ყველაზე ხმაურიანმა გოგონებმა პირველი დისკო გამოუშვეს

#### მალი სერაპრიაკოვა

რა არის გასაკვირი იმაში, რომ "მაკონალდსში" დისკოს პრეზენტაცია მოეწყოს? არც არაფერი! მზიარული რესტორნების ქსელში ძვირფასი პირმშობის დაბადების დღის აღნიშვნა ჩვენში უკვე ღრმად ფეხვადგამული პრაქტიკაა. პირველი დისკო შეიძლება პირმშოს რანგში განვიხილოთ. მით უმეტეს, თუ დისკს სწორედ born-ს (დაბადებულ) დაარქვევ. ერთ-ერთმა ყველაზე ორიგინალურმა ქართულმა ჯგუფმა "ემბრონიმ", გუმინ, პირველი დისკოს პრეზენტაცია სწორედ "მაკონალდსში" მოაწყო.

"ემბრონი" გამოჩენისთანავე ყურადღების ცენტრში მოექცა. იროიდ წლის წინ, სამი, ფერის გარეგნობის გოგონას მიერ სცენაზე მოწყობილ ხმაურს ძნელია ვინმე გულგრილი დაეტოვებინა. რადიკალურად მძიმე მუსიკის შემსრულებელი ჯგუფი მალე საქართველოს ფარგლებს გარეთაც შენიშნეს და ყველაფერი გასულ წელს ინგლისურ ფესტივალზე წარმატებით დასრულდა. მას შემდეგ ყველას ეგონა "ემბრონი" თბილისში თვალისთვის ვეღარ ვნახავდით, თუმცა, ასე, ალბათ, მხოლოდ ზღაპრებში ხდება. ჯერჯერობით კი "ემბრონი" თბილისშია და პირველ დისკოს სწორედ მშობლიურ ქალაქში გამოსცემს.



ემბრონი

Born, ფაქტობრივად, სინგლს წარმოადგენს, მასში სამი სიმღერა შესული (ორი მათ ინგლისულ პროდუსერთან მარც კოლესთან ერთად ჩაიწერა, ერთი კი, თითქმის სულ ახალია). დისკო თბილისში "სანი-სტუდიაში" გამოუშვა. იგი ნიდავს ჯგუფის პირველ სრულ ალბომს შეუზღავდა. ამ უკანასკნელს წლის ბოლოსთვის გეგმიანია არ ჩაირთოს. ჩელინის "სალიერას" გვერდით ძვირადღირებული რაფაელიც ეკიდა, მაგრამ ქურდებმა მას ხელიც არ ახლეს.

ქვირა ჩვენთან". კვლავ ლიად რჩება ჯგუფის ინგლისში გამგზავრების საკითხიც. ინგლისელების მიერ "ემბრონი" დაინტერესებაზე უკვე ბევრი ითქვა. როგორც ლინქსენს, Born-ის ტირაჟის დიდი ნაწილიც ინგლისისთვის არის გათვლილი. რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოიპოვება იგი თბილისში, ამას ქვემოთ მოგახსენებთ: ახლა უკვე ყველამ ვიცით, როგორ ჩაგრავედ ბავშვებს "მაკონალდსში"! გუმინ, რესტორანში ჯგუფ დასა. "უკვე თორმეტი სიმღერა გამოშავდა" - აღნიშნავს პროდიუსერი - მაგრამ, ჩანერა ძალიან

#### ნიონი კანიშვილი

წლებიდან წელი ნაყოფიერი აღმოჩნდა სამუშეოში ნიფების მოპარვის თვალსაზრისით. თითოეული მათგანი იმსახურებს, რომ "საუკუნის ქურდობის" ნოდება მოიპოვოს. ქურდობენ არა მარტო ვრაყში, არამედ მშვიდობიან ევროპაშიც. ავსტრიული სააგენტო APA იუნყება, რომ კვირას, 11 მაისს, ღამით ვენის ხელოვნების ისტორიის მუზეუმიდან ცნობილი იტალიელი ოსტატის, ბენვენუტო ჩელინის (1500-1571) "სალიერა" მოიპარეს. ვარაუდობენ, რომ ქურდობა ღამის 4 საათზე მოხდა. მუზეუმში ქურდობის შესახებ დღის 8:20 გაიგეს. განსხვავებით ფილიპინგან, "როგორ მოვიპაროთ მილიონი", სადაც ოდრი პეპერნის და პიტერ ოტულის გამოჩენილ ბენვენუტო ჩელინის ქალის ქანდაკებას იპარავენ, ვენის მუზეუმში "სალიერა" მინის დამცავი ვი-

## ქინოს მოყვარული ქურდები

ნალმა იპოლიტ დ'ესტემ იხსნა და მას მხოლოდ ორ წელიწადს მოუწია წმინდა ანგელოზის ციხეში ყოფნა. ბენვენუტო ჩელინი 1537-1945 წლებში საფრანგეთის მეფის ფრანცისკ I-ის კარზე ოქრომჭედლად მუშაობდა. ჩელინიმ სწორედ ფრანგი მონარქისთვის შექმნა "სალიერა". ეს არის ოქროს, მინანქრისა და ებონის ნაგებ ნაგებობა, რომელიც მონარქისთვის შექმნილია. ამ შედეგის შესახებ ჩელინი თავის ავტობიოგრაფიაში წერდა: "იმისათვის, რომ მეჩვენებინა, თუ როგორ უერთდება ერთმანეთს ზღვა და მიწა, ორი ფიგურა გაგაკეთო... ზღვა გამოვსახე მაშაკაცი, რომელსაც მდიდრულად დეკორირებული გემი უჭირავს, მიწა გამოვსახე ქალთი, ისეთივე ღამითი და გრაციოზულით, როგორსაც მე ვცნობდი; გვერდით კი მდიდრულად გაფორმებული სასახლე მოვთავსე..."

დღემდე ბენვენუტო ჩელინის საოუველიო მოქმედების უტყუარი ნამუშევრად სწორედ "სალიერა" ით-

ვლებოდა. შემორჩენილი კიდევ წერილ-წერილი ნიფების - პაპ კლემენტ VII-სა და ალესანდრო მედიჩისთვის გაკეთებული მედალიონები და მონეტები.

რაც შეეხება ჩელინის სკულპტურულ მოქმედებებს, აქ შედარებით უქვეყნად მდგომარეობაა. ლუვერის "ფონტებლის ნიმფა" და ფლორენციის მუზეუმის "კონიმი I-ის ბიუსტი" ადგილზეა, მაგრამ საქმე ისაა, რომ განუშეორებელი იუვენალი ჩელინი, საშუალო დონის მოქანდაკე იყო. ამ ქურდობის შემდეგ შეიძლება ვთქვათ, რომ იუვენალი ჩელინის გარეშე დაერჩით. იმედი იმისა, რომ "სალიერა" სადმე აღმოჩნდება, თითქმის, არ არსებობს. ეს იგეგმა, რომ ბაზარზე "სიქსტის მადონა" ან "ჯოკონდა" გამოიტანონ - ასეთი სახელიანი ექსპონატები გაყიდვას არ ექვემდებარება. მუზეუმის ადმინისტრაცია იმდენ მაინც არ იწერავს და მპოვნელს 80 ათას დოლარს ჰპირდება.

# შეავსეთ ანკედა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. გლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაანთავსოს თუ არა მონაცემთა ბაზაში "ხალხის პირისპირ". თქვენი შეჩვენის შედეგად, დაგისაზღვრებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკედის შევსებით თქვენ მისთვის. "ხალხის პირისპირ" ნაშაბა და აიროგზავს.

ანკედა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:  
  
სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",  
ტელევიტორინა "ხალხის პირისპირ",  
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონტაქტანტები ტელევიტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეიჩვენება ანკედის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკედა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:  
დაქორწინებული, დაუქორწინებული, გაყრილი, ძვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ აააათ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:  
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

სამონტაჟო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:


საშუალო ადგილი

დასმარა კატეგორია: (მითითებით კატეგორია, რომელიც აარად ეჩვენებით, შეიჩვენოთ აირომით ნა-  
პირისპირ. გვალისთვის, საშხაბოთი კლავი "არსნალო" ან ეჭირის შევსების დამატებით, ან ნი-ინი ფლავის მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ აააათ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრისათ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენი ხარტ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანეროთ თქვენი სახელი და გვარი.

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დსკენების დღეს?

გიყვაროთ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიყოფარათ საბარტეფოს ბაროთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდოთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისუკებდით შეხვედრას, სად ნახვილოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდოთ, სად ნახვილოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარემოებას ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწარალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიწანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვისის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევით ან გავიკეთებოთ თუ არა ისეთი რამ, რითაც აგაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ვგავხართ ყველზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონოთ თუ არა რამე მეტასახელი? კონარტულად რა?

ფილმი რომ გადალოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა აველავით?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (გვალისთვის, შეიჩვენოთ თუ არა სტენოთ პოტოფის "მიწარის სწავლის" შესრულება, ან აპირალოთ გარეთოლო დსტანციის გაწევა?)

ყველზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გიწდათ მიილოთ მონაცილოვა ჩვენს თავაში?

უჩვეულო ან სინტერესო რამ თუ გადაგწდინოთ თავს? კერძოდ რა?

ყველზე ცუდი საშუალო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?









